

ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით). 2022 წელი, I კვარტალი

1.5 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას

ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					32 609,7

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა რუსთავეში იარაღის რეგისტრაციასთვის და თეორიული გამოცდისთვის საჭირო ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა რუსთავეში ავტოსატრანსპორტო საშუალებების განბაჟება, ექსპორტ/რეექსპორტისათვის საჭირო შენობის მშენებლობა;
- დასრულდა იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო შენობის მშენებლობა;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. თელავში ახალი საგამოცდო მოედნის (გარდა B კატეგორიის) მოწყობის და იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო შენობის მშენებლობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. ფოთში ახალი საგამოცდო მოედნის (გარდა B კატეგორიის) მოწყობის და იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო შენობის მშენებლობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნება ახალი შენობებისთვის საჭირო ავეჯი;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა ახალი შენობებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა;

- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა 2 ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდი აპარატი;
- ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო კომპიუტერების შესყიდვა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო ავეჯის შესყიდვა.
- საანგარიშო პერიოდში შესაბამისი თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ს;
- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 201 979 მოქალაქეს და 6 496 ორგანიზაცია;
- დასრულდა და მიმდინარეობს ცენტრალური გადახდის სერვისების ინტეგრაცია ფინანსური ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს საზღვარზე სატრანსპორტო საშუალებების ესპერტიზასთან დაკავშირებული სერვისების ინტეგრაცია შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით;
- განახლდა და მიმდინარეობს საბაჟო ინფორმაციის მიმოცვლის სერვისების ინტეგრაცია შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაზე ჩაწერის სერვისების ინტეგრაცია ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს სააგენტოს აპლიკაციაში მომხმარებლების რეგისტრაციის სერვისების ინტეგრაცია ლიბერთი ბანკთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს სატრანსპორტო საშუალებების ცვლილების შეტყობინების ინფორმაციის მიწოდების სერვისის ინტეგრაცია თბილისის მერიასთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის სატრანსპორტო საშუალებების ინფორმაციის მიწოდების სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა ქალაქების მუნიციპალურ სამსახურებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს ფინანსური ორგანიზაციებისთვის სატრანსპორტო საშუალებების ინფორმაციის მიწოდების სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და მიმდინარეობს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ ინსპექტირებასთან დაკავშირებული სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა ტექ ინსპექტირების ცენტრებთან თანამშრომლობით;
- დასრულდა და დაინერგა მოპედების ლეგალიზაციისთვის ნომრების მართვის ავტომატური და ხელით მართვადი მოდული;
- დასრულდა და მიმდინარეობს შსს მომსახურების სააგენტოს All-In-One სისტემის <https://365.sa.gov.ge>-ს დანერგვა;
- დასრულდა და მიმდინარეობს განაცხადების მართვის მოდულის <https://ams.sa.gov.ge>-ზე ინტეგრაცია;
- დასრულდა და მიმდინარეობს საკატრულო ჯარიმების სერვისების მართვის მოდულის ინტეგრაცია <https://365.sa.gov.ge>-ზე;
- მიმდინარეობს ავტომობილის რეგისტრაციის პროგრამის განახლება და <https://ams.sa.gov.ge>-ზე ინტეგრაცია;
- მიმდინარეობს შსს მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციებისა და <https://my.sa.gov.ge> პორტალის განახლება;

- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, კერძოდ: დამტკიცდა "B" და "BE" კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების (თეორიული გამოცდა, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპი და პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპი - რეალურ საგზაო მოძრაობაში პრაქტიკული გამოცდის ჩატარება) წესი და პირობები. ზემოაღნიშნული ცვლილებები ამოქმედდება 2022 წლის 25 აპრილიდან.
- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში და „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც დადგინდა საგამონაკლის წესი, კერძოდ: მიტანის მომსახურების (ე.წ. „დელივერი სერვისი“/„საკურიერო სერვისი“) სფეროში დასაქმებული პირები, რომლებიც დაადასტურებენ საკურიერო სერვისში მუშაობის არანაკლებ 3 თვიან სტაჟს, ისეთი მოტოციკლის ფლობას/საკუთრებას, რომლის ძრავის მუშა მოცულობა არ აღემატება 125 სმ³-ს, მაქსიმალური სიმძლავრე – 11 კვტ-ს, ხოლო სიმძლავრის/წონის კოეფიციენტი – 0,1 კვტ/კგ-ს (მსუბუქი მოტოციკლი)), „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენისა და თეორიული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად. ამასთან, აღნიშნულ პირთათვის განისაზღვრა „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დროებითი წესი, კერძოდ: ნაცვლად 30 კითხვისა, საგამოცდო პროცესი განისაზღვრება 20 კითხვით და კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 20 წუთის განმავლობაში, უნდა უპასუხოს 20 კითხვიდან სწორად 18-ს და დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. საგულისხმოა, რომ ამ წესით მართვის უფლების მისაღები გამოცდების მიღება ხორციელდებოდა 2022 წლის 20 მარტამდე.

- „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის შედეგად დადგენილების დანართ №4-ით, შეიცვალა სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, რომელთა ტარება ფიზიკური პირის დასაშვებია მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №5, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებულ იმ პნევმატური იარაღის ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლის ტარებაც აკრძალულია, ამოღებულ იქნა.
- "სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის, შენახვისა და ტარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 დეკემბრის № 963 ბრძანებაში და "იარაღის ბალისტიკური შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 7 ივლისის № 576 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც დარეგულირდა/შეიცვალა პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმებისა და რეგისტრაციის პროცესი.
- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში და „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, დროებითი ღონისძიების გატარების აუცილებლობით, კერძოდ: 18 წელს მიღწეულ იმ ფიზიკურ პირთათვის რომელთაც 2022 წლის 28 მარტამდე ჰქონდათ 25 კმ/სთ-ზე მეტი კონსტრუქციული სიჩქარის მქონე ორ ან სამთვლიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის არანაკლებ 3 (სამი) თვის გამოცდილება დადგენილი წესის შესაბამისად უფლებამოსილნი იქნებიან მიმართონ მომსახურების სააგენტოს „A1“ ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების დროებით წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს, რომ ნაცვლად 30 კითხვისა, საგამოცდო პროცესი შემოიფარგლება 20 კითხვით და კანდიდატმა ელექტრონული ტესტირებისათვის განსაზღვრული 20 წუთის განმავლობაში, უნდა უპასუხოს 20 კითხვიდან სწორად 18-ს და დააგროვოს მინიმუმ 18

ქულა. აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდება 2022 წლის 26 აპრილიდან და იმოქმედებს 2022 წლის 6 ივნისამდე.

- „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით დადგინდა მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის ან იმ მსუბუქი მოტოციკლის, რომლის ძრავის მუშა მოცულობა არ აღემატება 50 სმ³ -ს, ხოლო მაქსიმალური სიმძლავრე - 4 კვტ-ს, პირველადი რეგისტრაციის პროცესი, დაინტერესებული პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, მათ შორის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დათვალეობის პროცესი. აღსანიშნავია, რომ თუ დაინტერესებული პირი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას, სააგენტო უფლებამოსილია სარეგისტრაციო მიზნებისათვის ამ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების არსებობა დადასტურებულად მიიჩნიოს, თუ დაინტერესებული პირი წერილობითი ფორმით აცხადებს, რომ იგი არის წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე.
- მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ინფორმაციის/მონაცემების გაცვლის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მემორანდუმი გაფორმდება უახლოეს პერიოდში.
- შემუშავდა საბერძნეთსა და საქართველოს მთავრობებს შორის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და ცნობის შეთანხმების (ნოტის პროექტი) სამუშაო ვარიანტი.
- შემუშავების პროცესშია სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საგამოცდო მარშრუტები, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.